

## წინასიტყვაობა

საეკლესიო და სვინაქსარული ტრადიციისთვის ჩვეული მოვლენაა, რომ მონაზვნები, რომლებიც წმინდა ბერებს დაემოწაფნენ და მათ გვერდით იცხოვრეს, მათ ცხოვრებას, სწავლებასა და სასწაულებს აღწერენ. ასე შეიკრიბა საუნჯედ სვინაქსარულ ტექსტთა უმრავლესობა. ხოლო თუკი ეს ბერები სააქაო ცხოვრებაში ცილისწამებათა და გაუგებრობათა მსხვერპლნი აღმოჩნდნენ, შთამომავლებს მათი ცხოვრების აღწერა, როგორც წმიდათაწმიდა მოვალეობა, უცილობლად მართებთ.

მამა პაისი არ ყოფილა ჰაჯი-გიორგის მოწაფე, არც მისი მოწაფეების მოწაფე, რადგან მისგან საკმაოდ დაცილებულ ეპოქაში ცხოვრობდა. მაგრამ როდესაც ახალგაზრდა მონაზონი წმინდა მამებს, როგორც თავად აღნიშნავს, „ღვთისმშობლის კეთილსურნელოვან ყვავილებს“ ეძებდა, გაიგო, რომ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისის ათონელი მამები გამორჩეული მოკრძალებითა და აღტაცებით საუბრობდნენ წინა საუკუნეში მცხოვრები ბერი ჰაჯი-გიორგის ასკეტურ ღვაწლზე.

მიუხედავად ამისა, ვინც მამა პაისის ვიცნობდით, არ გაგვიჭირდება დაბეჭდვით ვთქვათ, რომ იგი ჰაჯი-გიორგის სულიერი შთამომავალი იყო არა მარტო ფართო გაგებით, როგორც მთაწმინდელი მონაზონი, არამედ ვიწრო გაგებითაც, როგორც უკიდურესად თავის მაიძულებელი, ასკეტი და მმარხველი. ასევე, როგორც მონაზონი, რომელმაც დღემდე შემოინახა ჰაჯი-გიორგის კრიტიკრიუმები და ასკეტური ტიპიკონი.

მათი ცხოვრებები ერთმანეთს ჰგავს და თან ერთმანეთს ტოლს არ უდებს. ამ ცხოვრებებში მრავლადაა საერთო მომენტები. სამშობლოდან ორივე მცირეწლოვანი წავიდა, ქრისტეს სიყვარულისთვის მშობლები დატოვეს, თავისი მცირე ოჯახისთვის სიყვარულის მოკლებით იმხელა ღვთაებრივი სიყვარული შეიძინეს, რომ მთელი მსოფლიო თავიანთ დაძმებად მიიჩნდათ. ისინი ღვთის დიდი ოჯახის შვილები გახდნენ და თითოეულ ადამიანში სრულ ადამს, მთელ კაცთა მოდგმას ხედავდნენ. მათ საკუთარი გეგმები არ ჰქონიათ, ამიტომ ღმერთმა მათი ცხოვრება თავისი ღვთაებრივი განგებულებისამებრ წარმართა. რადგან ანგელოზებრივი სქემის ფასი და ღირსება, და ჭეშმარიტი მონაზვნური ცხოვრების სიტკბოება იცოდნენ, სხვა ღირსება და წოდება აღარ მოუსურვებიათ. თავად ცდილობდნენ დაფარულად, შეუმჩნევლად, ეცხოვრათ, მაგრამ ისინი ადამიანებს ღმერთმა გამოუცხადა.

ორივეს უხვად ჰქონდა მინიჭებული სულიწმინდის მადლი. ბუნებასთან და ველურ მხეცებთან ისეთი უწყინარი დამოკიდებულება ჰქონდათ, როგორც [ადამიანს] ცოდვით დაცემამდე ერთი გარეულ ღორებს უთანხმდებოდა და მასპინძლობდა ხოლმე, მეორე – შხამიან გველებსა და ხვლიკებს. ორივეს აშკარად ჰქონდა დაფარულთა ხედვის ნიჭი, რომელიც სულიერი ტელევიზორივით მუშაობდა. სწეულთა კურნების მადლიც უხვად ჰქონდათ. ამ ნიჭს საკუთარი თავის წარმოსახენად კი არ იყენებდნენ, არამედ მწუხარეთა და სასოწარკვეთილთა განსამტკიცებლად და სანუგეშოდ, მათ ცხონების გზის პოვნაში რომ დახმარებოდნენ.

ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაში მათი სახელი განთქმული იყო წმინდა მთისა და საბერძნეთის ფარგლებს გარეთაც კი. ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ მათთან ადამიანები სულიერი სარგებლის მისაღებად. დიდიდან დადამებად კრებდნენ შეურევბული ადამიანების ტკივილს და მათ გულებს სულიერი სიყვარულით ათბობდნენ, რომელიც გაზაფხულის მზის სხივის მოფენას ჰგავდა. ამიტომ მათ სიახლოვეს ადამიანთა გულები იხსნებოდა და ღვთის წყალობის მიმღები

ხდებოდა. ნების მოკვეთას წმინდა მამათა სულისკვეთებით წარმართავდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვნებებს განუსჯელად კი არ კაფავდნენ, არამედ გულისხმისყოფით სხლავდნენ. რადგან ჭეშმარიტი სიწმინდე ჰქონდათ, ადამიანები მათ არა შიშით, არამედ კრძალვით ემორჩილებოდნენ.

ორივე კეთილმსახური მოსაგრეობით მსხვერპლად შეეწირა უფალს, ხალხს კი უანგარო სიყვარულით ემსახურა. იშვიათად ისვენებდნენ საწოლზე. დასვენება მათთვის სტასიდზე დგომა იყო. იქ სულიერად მხიარულობდნენ და საზრდოობდნენ მრავალსაათიანი ღამისთევის ღოცვის დროს. „ვირჩიე მე მივრდომა სახლსა ღმრთისა ჩემისასა, უფროს“<sup>1</sup> სენაკში ისინი თითქმის არ შედიოდნენ, რადგან ღამით ეკლესიაში იმყოფებოდნენ, დღისით კი – გულისტკივილით აღსავსე ადამიანებთან. ვისაც მამა პაისის გვერდით უცხოვრია, თუნდაც მისი ცხოვრების უკანასკნელ, ოპერაციის შემდგომ პერიოდში, შეუძლია დაამოწმოს ამ ნათქვამის სიმართლე.

მოწყალეობა ორივე მათგანისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშან-თვისება გახლდათ. მამა პაისი არა მარტო „მარხულობდა, როგორც ჰაჯი-გიორგი“, არამედ კიდევაც „გასცემდა, როგორც ჰაჯი-გიორგი“. „რა არის მოწყალე გული? გულის ტკივილი ყოველი ქმნილებისთვის“, – ამბობს აბბა ისააკ ასური, რომლის სიტყვაც ბერის ყოველდღიური სულიერი საზრდო იყო. მას ჰაჯი-გიორგის წესი ჰქონდა: ევლოგია<sup>2</sup> გაეცა მისთვის მიცემული მოწყალეობა, თავად კი ნივთიერ სიკეთეთა მხრივ ღარიბებზე უგლახაკესი დარჩენილიყო. მისთვის მიტანილ სურსათ-სანოვანოთ სავსე ჩანთებს კუტლუმუშის სკიტსა და სხვა კელიებში მოუძღურებულ და სარეცელს მიჯაჭვულ მოხუც მონაზვნებს უგზავნიდა და ეუბნებოდა: „რა უფრო ამდენ რამეს? სუპერმარკეტს ხომ არ გაგხსნით?! აქ დასასვენებლად არ მოვსულვარ. მიეცი იმ ბერს, რომელსაც ესაჭიროება“.

წიგნის ბოლოს, დანართში მოთხრობილი ჰაჯი-გიორგის თავს გადამხდარი განსაცდელებით მამა პაისის შესაძლებლობა ეძლევა დაეხმაროს შეურევბულ და უსამართლოდ დევნილ ადამიანებს – სწორად შეაფასონ ის მწუხარება, რომელსაც სხვა ადამიანები შეამთხვევენ, რომ შეძლონ ტკივილში სიხარულის პოვნა. მწუხარების ისე ამადლებულად გააზრება, როგორც მამა პაისი გვთავაზობს, ჭეშმარიტად ბიბლიური და პატერიკულია. იგი ხაზგასმით ამბობს, რომ უსამართლოდ დევნილნი ღვთის უსაყვარლესი შვილები არიან, რომლებსაც უსამართლოდ ჯვარცმულ ქრისტესთან ერთად შეუძლიათ იხარონ და იმხიარულონ. მისი დიდი დიაკრისი<sup>3</sup> და სიყვარული მარტო იმისთვის არ ზრუნავს, რომ მიუახლოვდეს და დაეხმაროს მათ, ვინც ცდილობს ახსნა-განმარტება მოუნახოს მართალთა მწუხარებასა და განსაცდელებს. მას სურს სინანულამდე მიიყვანოს ისინიც, ვინც სხვებს აჭირვებს და უსამართლოდ ეპყრობა. მხოლოდ ასეთი მწყემსის მამობრივი მიახლოება სიყვარულით ანთებული გულით არ შეურაცხყოფს ბოროტმოქმედებსა და ცოდვილებს და ყველაფერს ისე მოაწყობს, რომ „არ წარწყმდეს არც ერთი უძღური სული“.

ახლა მოსაგრეობით გათანგული მამა პაისის სხეული მისი სურვილისამებრ სუროტის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის ეზოში განისვენებს, მისი წმინდანის, ღირსი არსენი კაბადოკიელის<sup>4</sup> სახლში, მასთან ახლოს. სული კი მასთან ერთად განცხრება და იხარებს „ეზოთა შინა უფლისა მისისათა“, „ანგელოზთა ზეციურ სამყოფელში“, რომელიც მთელი ცხოვ-

<sup>1</sup> ფსალმ. 83, 10.

<sup>2</sup> ევლოგია –

<sup>3</sup> დიაკრისი –

<sup>4</sup> ღირსი არსენი კაბადოკიელი –

რება სწყუროდა. იქ გვიწევს მეოხებას. იგი ღირს არსენისთან, ბერ ჰაჯი-გიორგისთან და სხვა ათონელ მამებთან ერთად იმყოფება, რომელთა ცხოვრებაც გასაოცარი წარმატებით ასახა არა მარტო თავის წიგნებში, არამედ პირად ცხოვრებაშიც. ადვილი როდია თქვას კაცმა, ამ ორიდან [ცხოვრების აღწერილობიდან და პირადი ცხოვრებიდან] რომელია უფრო ზედმიწევნითი. ყოველ შემთხვევაში, იშვიათად ვხვდებით ასეთ განსაცვიფრებელ მსგავსებასა და იგივეობას მწერლის, ბიოგრაფის ცხოვრებასა და მის მიერ აღწერილ ცხოვრებას შორის. მამა პაისის საფიქრალი იყო ჭეშმარიტებისა და სისპეტაკის შენარჩუნება არა მარტო მთაწმინდელი მონაზვნების სულში და ცხოვრებაში, არამედ ზოგადად მონაზვნობაში. ამასთან ერთად, მისმა დიდმა სიყვარულმა ყველა ადამიანის, „ადამის დიდი ოჯახის“, ეკლესიის მიმართ მოახდინა ეს(?) სასწაული.

ბერი პაისის უბრალო საფლავი, სადაც მისი ღვთის მადლით აღსავსე ცხედარი განისვენებს, ადამიანებს ბრძოლაში, ტკივილსა და განსაცდელში განამტკიცებს, „რამეთუ აღმოადინებს საკვირველებათა და აღმოაცენებს კურნებათა“<sup>5</sup>. ასევე მის მიერ დატოვებული გამორჩეულად მადლიანი წიგნებიც ყველასთვის გასაგებად, გამოცდილი, პატერიკული სწავლებით წინამძღვრობს მართლმადიდებლური სულიერი ცხოვრების განვითარების პროცესს და მკითხველს ცხონების გზის პოვნაში შეეწევა. როგორც მამა პაისი, ისე მისი ნაშრომები, დღეს მთელი მსოფლიო მართლმადიდებლობის თვალსაწიერსა და ინტერესის სფეროშია მოხვედრილი.<sup>16</sup> ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ქების ღირსია წმინდა იოანე ღვთისმეტყველის საგანის გამოხმაურება მრავალი მართლმადიდებელი მორწმუნის თხოვნაზე – ითარგმნოს მამა პაისის წიგნები უცხო ენებზეც, რათა უფრო მეტმა ადამიანმა მიიღოს სარგებელი. თარგმანისთვის<sup>6</sup> დაიწერა ეს სტრიქონებიც, როგორც მამა პაისის მდაბალი მოსაგონარი და გულითადი მადლიერება მისი დიდი სიყვარულისა და ღოცვის გამო.

პროფესორი ანესტი კესელოპულოსი  
თესალონიკი, 1995 წლის 26 სექტემბერი  
წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ხსენების  
დღე

+

<sup>5</sup> წმინდა მოციქულისა და მახარებლის, იოანე ღვთისმეტყველის კონდაკი (ხსენება 26 სექტემბერს/9 ოქტომბერს).

<sup>6</sup> პროფ. ანესტი კესელოპულოსის წინასიტყვაობა დაიწერა „ბერი ჰაჯი-გიორგი ათონელის“ ფრანგული თარგმანისთვის, რომელიც სუროტის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სავანემ შემოგვთავაზა ქართული გამოცემისთვის.